



საჯარო სამართლის იურიდიული პირის -  
„ანარმოე საქართველოში“ დირექტორის  
ბრძანება



KA020100819499720

№ ს-55

16 / ოქტომბერი / 2020 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის "ანარმოე საქართველოში"  
გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის  
დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის "გენდერული თანასწორობის შესახებ" შესაბამისად და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის № 1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანარმოე საქართველოში დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის "ანარმოე საქართველოში" გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, აღნიშნული დოკუმენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის გაცნობა.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (0105 ქ, თბილისი, სანაპიროს ქ. N2 (იუსტიციის სახლი, ყოფილი ენერგეტიკის სამინისტრო).

სსიპ-ის „ანარმოე საქართველოში“  
დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელემენტრონულად



მიხეილ ხიდურელი



გენდერული თანასწორობის სტრატეგია  
სსიპ „აწარმოე საქართველოში“

## სარჩევი

I. ტერმინთა განმარტება .....	2
II. რეგულირების სფერო .....	3
III. სტრატეგიის მიზანი .....	4
IV. სტრატეგიის ძირითადი პრინციპები .....	4
V. სტრატეგიული მიზნები .....	5
VI. სტრატეგიული ამოცანები.....	5
VII. სტრატეგიის განხორციელება და მონიტორინგი .....	6

## I. ტერმინთა განმარტება

1. გენდერი - სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე.<sup>1</sup>
  2. გენდერული თანასწორობა – ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.<sup>2</sup>
  3. გენდერული მეინსტრიმინგი - ქალებისა და მამაკაცებისთვის იმ შედეგების შეფასების პროცესი, რომლებიც ყველა სფეროსა და ყველა დონეზე მოჰყვება ნებისმიერ დაგეგმილ ქმედებას, მათ შორის, კანონმდებლობას, პოლიტიკურ მიმართულებებსა თუ პროგრამებს.<sup>3</sup>
  5. თანასწორი შესაძლებლობები – ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის საშუალებებისა და პირობების სისტემა.<sup>4</sup>
  6. თანასწორი მოპყრობა – განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა.<sup>5</sup>
  7. სექსუალური შევიწროება - სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არა სიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნას.<sup>6</sup>
- წინამდებარე დოკუმენტში (შემდგომში - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა) გამოყენებულ ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

<sup>1</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ მუხლი 3, (ა), 2010

<sup>2</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ მუხლი 3, (ბ), 2010

<sup>3</sup> გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1997 წლის ანგარიში

<sup>4</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 3, (ზ), 2010

<sup>5</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 3, (თ), 2010

<sup>6</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 6.1 (ბ), 2010

## II. რეგულირების სფერო

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ (შემდგომში - სააგენტო) გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ქალისა და კაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, ითვალისწინებს საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს და საქართველოს მთავრობის პოლიტიკას გენდერული თანასწორობის სფეროში. სააგენტო ახორციელებს ძალისხმევას სააგენტოს სისტემაში გენდერული თანასწორობის პრინციპების დასამკვიდრებლად და უზრუნველყოფს ქალისა და კაცის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის მიზნით შესაბამისი პოლიტიკის ჩამოყალიბება-განხორციელებას. სააგენტოს კომპეტენციის გათვალისწინებით, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობა განსაკუთრებით პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს სააგენტოს მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე და აისახება სააგენტოს უშუალო ბენეფიციარებზე.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფომ უნდა „უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.“<sup>7</sup> გენდერული თანასწორობის სტრატეგია სააგენტოს დაეხმარება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა გენდერული თანასწორობის მიღწევისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის სფეროში.

გენდერული თანასწორობის სტრატეგია ეფუძნება „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციას, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის საქართველოს მეოთხე და მეხუთე ერთობლივ ანგარიშზე დასკვნით რეკომენდაციებს, მდგრადი განვითარების მიზნებს, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ და „ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონებს, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს; სტრატეგიაში ასახულია გენდერული თანასწორობის სფეროში საქართველოს მთავრობის პოლიტიკა - ეროვნული სამოქმედო გეგმები: საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა 2018-2020; ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (საქართველოს პარლამენტის დადგენილება #182, 17,04,2018); საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლების), (საქართველოს მთავრობის დადგენილება #182, 17,04,2018); ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განსახორციელებელი 2018-2020 წლების

<sup>7</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 2, 2010.

საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა (საქართველოს მთავრობის დადგენილება #173, 10.04.2018); საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგია (საქართველოს მთავრობის დადგენილება #582, 28.12.2017).

### III. სტრატეგიის მიზანი

აღნიშნული სტრატეგიის მიზანია სააგენტოს საქმიანობაში გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობა. სტრატეგია ხელს შეუწყობს სააგენტოს საქმიანობაში ქალების, კაცების, ბიჭებისა და გოგოების განსხვავებულ საჭიროებებისა და პრიორიტეტების უკეთ განსაზღვრას.

წინამდებარე სტრატეგიას და მისგან გამომდინარე სამწლიან სამოქმედო გეგმას სააგენტო სახელმძღვანელო ჩარჩოდ გამოიყენებს ყველა საქმიანობის მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისათვის. სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი შეფასდება ყოველწლიურად, ხოლო გეგმის განახლება მოხდება სამ წელიწადში ერთხელ.

### IV. სტრატეგიის ძირითადი პრინციპები

#### 1. გენდერული თანასწორობის გაძლიერება და დაცვა

ამ პრინციპის ქვეშ იგულისხმება გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელება სააგენტოს პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებში. აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, ასევე უნდა დაიხვეწოს სააგენტოში სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი - როგორც სააგენტოს ბენეფიციარების, ისე სააგენტოს თანამშრომელთა შესახებ. აღნიშნული ანალიზი ერთის მხრივ, საშუალებას მისცემს სააგენტოს, შეაფასოს საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობა ბენეფიციარი ქალების, გოგოების, კაცებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებებისა და პრიორიტეტების დაკმაყოფილების კუთხით, ხოლო მეორეს მხრივ შეაფასოს სააგენტოს თანამშრომელთა გენდერული ბალანსი, მათ შორის თანამდებობრივი იერარქიის მიხედვით.

#### 2. დისკრიმინაციის, მათ შორის სექსუალური შევიწროების, პრევენცია და აღმოფხვრა

1. სააგენტოს სისტემაში მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, რომელიც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან უარყოფით და ხორციელდება პირდაპირი ან ირიბი ფორმით. დისკრიმინაციის პრევენცია და აღმოფხვრა მიღწევადია სააგენტოს

სისტემაში ქალებისა და კაცებისთვის თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფის გზით, რომელიც გამოხატულია თანასწორი შესაძლებლობების შექმნით და თანასწორი უფლებების რეალური გამოყენების საშუალებით.

2. სააგენტოს სისტემაში ფუნდამენტურად მიუღებელია ნებისმიერი სახის სექსუალური შევიწროება. სააგენტო იღებს ვალდებულებას სააგენტოს სისტემაში დაამკვიდროს სექსუალური შევიწროების აღმოფხვრისა და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმი.

## V. სტრატეგიული მიზნები

სააგენტოს სტრატეგიული მიზნებია:

1. სააგენტოს შიგნით გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა და მისი ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა;
2. სააგენტოს თანამშრომლების და ბენეფიციარების ცნობიერების გაზრდისა და უნარების განვითარების/გაძლიერების მხარდაჭერა ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე; სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების რეგულარული შეგროვების სისტემის დანერგვა;
3. გენდერული თანასწორობის საკითხებზე ეფექტიანი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მექანიზმის დანერგვა; სააგენტოს საქმიანობის გაუმჯობესება საკომუნიკაციო აქტივობებისა და მექანიზმის შესაბამისად;
4. სააგენტოს სისტემაში სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციის სხვა შესაძლო ფორმების გამოვლენის ხელშეწყობა და სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი რეაგირების მოხდენა; შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება.

## VI. სტრატეგიული ამოცანები

სააგენტოს სტრატეგიული ამოცანებია:

1. სააგენტოს შიგნით გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება; გენდერული თანასწორობის საკითხების კომისიისა და გენდერული მრჩეველის პოზიციის შექმნა (შესაძლებლობის შემთხვევაში);
2. სააგენტოში შექმნილი გენდერული თანასწორობის საკითხების კომისიას ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა წინამდებარე სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაციისთვის;
3. სააგენტოს ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლება გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და სხვა საკითხების შესახებ;
4. ინფორმაციის დამუშავება გენდერულ ჭრილში, სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების რეგულარული შეგროვების სისტემის დანერგვა სააგენტოს სისტემაში;

5. თანამშრომელთა მუშაობის შეფასების, დაწინაურების პროცედურების, თანაბარი ანაზღაურების ხელშეწყობისა და თანამშრომელთა წახალისების მექანიზმების შემუშავება და დამტკიცება;
6. ბენეფიციარების, მათ შორის მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნიებული ქალების, სამეწარმეო უნარებისა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ ცნობიერების ამაღლების და საჭირო ცოდნის განვითარების მიზნით საინფორმაციო სესიების და ტრენინგების ჩატარება არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით;
7. სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების რეგულარული შეგროვების სისტემის დანერგვა სააგენტოს პროგრამებში (შესაძლებლობის შემთხვევაში);
8. დაფინანსებული საწარმოებისთვის ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
9. გენდერული თანასწორობის საკითხებზე ეფექტიანი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მექანიზმის დანერგვა სამთავრობო სექტორთან, შესაბამის საერთაშორისო, ადგილობრივ და სხვა ტიპის ორგანიზაციებთან;
10. სააგენტოს მიერ საზოგადოებისთვის რეგულარულად განახლებადი ინფორმაციის მიწოდება გენდერული საკითხების, შესაბამისი სტრატეგიების პროგრესისა და შედეგების შესახებ;
11. სააგენტოში სექსუალური შევიწროების და დისკრიმინაციის შესაძლო სხვა ფორმების საწინააღმდეგო პოლიტიკისა და შესაბამისი საჩივრების მიღება-განხილვის ეფექტიანი მექანიზმის იმპლემენტაცია.

## VII. სტრატეგიის განხორციელება და მონიტორინგი

1. გენდერული თანასწორობის სტრატეგიით დასახული მიზნების და ამოცანების გადასაწყვეტად სააგენტო განახორციელებს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულებას. ასევე მიმდინარე პროგრამებსა და პროექტებში მოხდება გენდერული ასპექტების გათვალისწინება.
2. გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დაფინანსების წყარო იქნება როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო სახსრები, ასევე ინსტიტუციონალური და სხვა რესურსები.
3. წინამდებარე სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას ხელმძღვანელობს გენდერული თანასწორობის კომისია. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება სააგენტოს არსებულ შიდა ნორმატიულ აქტებში ცვლილებები, კერძოდ, მოხდება გენდერული ასპექტების ინტეგრირება. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებლობა და მაკოორდინირებელი ფუნქცია ეკისრება სააგენტოში შექმნილ გენდერული თანასწორობის საკითხების კომისიას.
4. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის შედეგად რეგულარულად მოხდება დასახულ ღონისძიებათა ქმედითობის შეფასება და სტრატეგიის გადახედვა-განახლება ახალი გარემოებების გათვალისწინებით.